საელე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი
ქართული და უცხოეთის ფილოსოფიის
ისტორიის განყოფილება

სამეცნიერო სერია

ფილოსოფია-სოციოლოგიის კლასიკური და თანამედროვე ტექსტები

– თარგმანები –

ტომი I

სერიის დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
თენგიზ ორემაძე

სარედაქციო კოლეგია:

ლელა ალექსიძე
გიორგი ბარამიძე
ბანანა ბრეგვაძე
დეკი დუმბაძე
გურამ თევზაძე
დოდო ლაბუნიძე-ხოფერია
ლამარა რამიშვილი

ნიკლას ლუმანი

საზოგადოებრივი კომუნიკაციის სისტემის ცვლილებანი და მასობრივი მედია

გერმანულიდან თარგმნა
დევი დუმბაძემ

გამომცემლობა „არხე“
თბილისი 2007

Niklas Luhmann, Veränderungen im System gesellschaftlicher Kommunikation und die Massenmedien, in: ders., Soziologische Aufklärung 3. Soziales System, Gesellschaft, Organisation, Verlag für Sozialwissenschaft: Wiesbaden 2005, S. 355-368. Mit freundlicher Genehmigung des Verlags für Sozialwissenschaften.

© გამომცემლობა „არხე“
© ალექსანდრე ალადაშვილი, თენგიზ ირემაძე, 2007
გამომცემელი: ალექსანდრე ალადაშვილი

პირველი გამოცემა, 2007

ISBN 978-99928-925-3-4

ყველა უფლება დაცულია

მთავარი რედაქტორის წინათქმა

გამომცემლობა „არხე“ დიდი გერმანელი სოციოლოგის, ნიკლას ლუმანის (1927-1998) ნაშრომის („საზოგადოებრივი კომუნიკაციის სისტემის ცვლილებანი და მასობრივი მედია“) წინამდებარე თარგმანით იწყებს ახალ სამეცნიერო სერიას – „ფილოსოფია-სოციოლოგიის კლასიკური და თანამედროვე ტექსტები. თარგმანები“. უპირველეს ყოვლისა, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ხელი შეიწყო ამ სერიის დაფუძნებაში. განსაკუთრებით მინდა გამოვეყო გამომცემლობა „არხეს“ დირექტორის, ალექსანდრე ალადაშვილის დამსახურება. სწორედ მისი თანადგომის შედეგად გახდა შესაძლებელი ამ სერიის დაარსება.

წინამდებარე თარგმანი შეასრულა დევი დუმბაძემ. დიდი კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ სწორედ მან ითავა ეს საქმე: საქართველოში მე ნაკლებად მეგულება ნიკლას ლუმანის მრავალფეროვანი შემოქმედების ურთულეს წახნაგთა ისეთი მცოდნე, როგორიც დევი დუმბაძეა; მისი მრავალმხრივი და საფუძვლიანი ცოდნა ფილოსოფიაში, სოციოლოგიასა და მედიების მეცნიერებაში იძის წინაპირობა გახდა, რომ ხელთ გვაქვს შესანიშნავად გადმოქართულებული ნიკლას ლუმანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და რთული ნაშრომი. (წინამდებარე თარგმანი შესრულებულია შემდეგი გერმანული გამოცემიდან: Niklas Luhmann, Veränderungen im System gesellschaftlicher Kommunikation und die Massenmedien, in: Die elektronische Revolution. Wie gefährlich sind die Massenmedien? hrsg. von Oskar Schatz, Graz – Wien – Köln 1975, S. 13-30).

წინამდებარე ნაშრომში ნიკლას ლუმანი დამაჯერებლად ახვევნებს, რომ მსოფლიო საზოგადოების სოციალური სისტემა მასობრივი მედიის გარეშე (მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ) კომუნიკაციას ვერ შეძლებდა. დღეს, ამგვარი კომუნიკაციისთვის, საკმარისი ვერ აღმოჩნდებოდა მაღალი

კულტურებისთვის დამახასიათებელი კომუნიკაციის ძველი ფორმები (დამწერლობა და ლიტერატურული ტრადიციები), რადგან თანამედროვე საზოგადოება მანამდე უცნობ, ძალზე სპეციფიკურ ტემპორალურ სტრუქტურებზეა აგებული.

რა არის საზოგადოება? ნიკლას ლუმანი წინამდებარე ნაშრომში საზოგადოების შემდეგ განმარტებას გვთავაზობს: საზოგადოება ყველა კომუნიკაციურად ხელმისაწვდომი განცდის და ქმედების სოციალური სისტემაა. საზოგადოების სოციალური სისტემა კომუნიკაციის პროცესებისაგან შედგება და მისი ცვლილებები კომუნიკაციის სახეთა ცვლილებებზეა დამოკიდებული. თუკი საზოგადოების ევოლუციის სამი ძირითადი ფაზიდან (არქაული საზოგადოება, მაღალი კულტურები, თანამედროვე ანუ მსოფლიო საზოგადოება) მსოფლიო საზოგადოება კომუნიკაციის ფორმათა მრავალფეროვნებითა და სირთულით გამოირჩევა, საზოგადოებრივი ევოლუციის წინა ორ ფაზასაც კომუნიკაციის ეფექტურ ფორმათა შექმნა დაედო საფუძველად. პრიმიტიული ჯგუფური ცხოვრებიდან არქაულ საზოგადოებრივ სისტემაზე გადასვლა ენის ევოლუციის მეშვეობით გახდა შესაძლებელი. აი, მაღალი კულტურების (ანუ საზოგადოების მეორე ძირითადი ფაზის) შექმნას კი წერილობითი კულტურის შექმნამ შეუწყო ხელი. თუკი არქაული საზოგადოებრივი წესრიგისთვის წინაპირობად ინტერაქცია, ანუ კომუნიკაციის პროცესში მონაწილეთა თანდასწრება განიხილება, წერილობითი კომუნიკაციის შექმნა ამ პირობების ცალმხრივობას გადალახავს; დამწერლობას შეუძლია უფრო დიდი სივრცითი და დროითი მონაკვეთები მოიცვას, ვიდრე „წმინდა ვერბალურ კომუნიკაციას". თუმცა მსოფლიო (ანუ ღღვეანდელი) საზოგადოებრივი სისტემის არსებობისთვის მხოლოდ „ნაბეჭდი სიტყვა" საკმარისი არ არის. მაღალი კულტურებიდან მსოფლიო საზოგადოებაზე გადასვლას ხელი შეუწყო კომუნიკაციის საშუალებების გაერცელების ტექნიკების დახვეწამ

და მათი მასშტაბების სრდამ. თუკი აღრე მასობრივი კომუნიკაციის საშუალებად დამწერლობითი ტექსტები გამოიყენებოდა, ამჯერად წინა პლანზე გამოსახულება გამოდის, ანუ სატელევიზიო და რადიომაუწყებლობის საშუალებები აყალიბებენ მსოფლიო საზოგადოების სტრუქტურას. აი, ასე ჩნდება მასობრივი მედია; მასობრივი მედიის გარეშე მსოფლიო საზოგადოება შეუძლებელი იქნებოდა; როგორც მაღალი კულტურებისთვის აუცილებელია დამწერლობა, ასევე მსოფლიო საზოგადოების სოციალური სისტემის „მუშაობისთვის" აუცილებელია მასობრივი მედია. მას დამწერლობა მისთვის საჭირო კომუნიკაციურ კავშირთა დამყარების შესაძლებლობას ვერ მისცემს. მსოფლიო საზოგადოების „სინქრონიზაცია" აწმყოში ხდება და ეს მხოლოდ მასობრივი მედიის მეშვეობითაა შესაძლებელი. მასობრივი მედიის პირველადი ფუნქცია კი საზოგადოების ყოველი წევრის რეალობაში ჩართვა და მონაწილეობაა.

აი, ზოგიერთი საკითხი, რისი გამოკვეთაც საჭიროდ ჩავთვალე! მეტის თქმის საშუალებას ეს მცირე წინათქმა არ მაძლევს! იმედი მაქვს, რომ ნიკლას ლუმანის წინამდებარე ნაშრომის ამ და სხვა მრავალ მნიშვნელოვან საკითხს თვითონ მკითხველი გაიაზრებს და შეაფასებს სათანადოდ.

თენგიზ ირემაძე

ქ. თბილისი, 25 მარტი, 2007 წ.

თუ დიდ მანძილს დაეიჭერთ და მკაფიო ცნებით აბსტრაქციას მოვახდენთ, შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ არის დამოკიდებული საზოგადოებრივი ევოლუცია კომუნიკაციის სახეთა ცვლილებებზე. ასეთი კავშირის არსებობა მოსალოდნელიც არის. ბოლოს და ბოლოს, საზოგადოების სოციალური სისტემა კომუნიკაციის პროცესებისაგან შედგება. ძალიან უხეშად, საზოგადოების სისტემა შეგვიძლია დავახასიათოთ ერთმანეთისათვის ხელმისაწვდომ, კომუნიკაციურად მიღწევად განცდათა და ქმედებათა ერთობლიობად. კომუნიკაცია საზოგადოებას ერთ მთლიანობად კრავს. ამის კონსტატირება არც ისე რთულია; მნიშვნელოვანია, შეეძლოთ კომუნიკაციის სახეთა და საზოგადოების ურთიერთკავშირის შესახებ ამ თეზისის ისტორიული და შინაარსობრივი თვალსაზრისით დიფერენცირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ლიტონ განცხადებად დარჩება.

საზოგადოებრივ ევოლუციაში სამი გლობალური ფაზა შეიძლება გავარჩიოთ: 1. პრიმიტიული, ანუ არქაული საზოგადოებრივი წესრიგები; 2. ქალაქებში კონცენტრირებული მაღალი კულტურები; 3. თანამედროვე ტექნიკურ-ინდუსტრიულ საფუძველზე მოქმედი საზოგადოების სისტემა. ერთი შეხედვით, ეს ტიპები, მათი მასშტაბისა და კომპლექსურობის თვალსაზრისით, საგრძნობლად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან.

არქაული საზოგადოებრივი სისტემები მცირე ზომისანი არიან. ისინი ან ერთიან ცხოვრების

წესს და საბინადრო სივრცეს, ან ნათესაობას ეფუძნებიან. მათ თითქმის ყველა სტრუქტურული მონაპოვარი თანადამსწრეთა შორის კონკრეტული ინტერაქციით შეუძლიათ გამოხატონ. არქაულ საზოგადოებრივ სისტემათა შემთხვევაში წარმოსადგენია, რომ ყველა ყველასთან ურთიერთობს. მათი ზღვარი კი იქ გადის, სადაც უშუალო კონტაქტში კონკრეტული ინტერაქცია არასაალბათო ხდება.

მაღალი კულტურები ქალაქთა წარმოშობასთან ერთად ჩნდებიან. ქალაქში შესაძლებელია ინტერაქციის შემჭიდროება, ამავე დროს, მისი დიფერენცირებაც. ჰორიზონტალურად ინტერაქცია ფუნქციურ სფეროებად განიყოფება უპირველეს ყოვლისა, რელიგიად, პოლიტიკურ თანამდებობებად, შრომის დანაწილების შესაბამისად ორგანიზებულ წარმოებად და ვაჭრობად. ვერტიკალურად კი, იგი სოციალურ ფენათა მიხედვით განიცდის დიფერენციაციას. ამასთან, უმაღლესი ფენები შედარებით მცირე ზომისანი რჩებიან (ეკონომიკური მიზეზებით კიდევაც უნდა დარჩნენ ასეთებად). ამიტომაც მეტროპოლში ჯერ კიდევ შესაძლებელია, რომ საზოგადოების სხვადასხვა ფუნქციური სფერო ერთმანეთთან ინტერაქციის მეშვეობით კოორდინირდებოდეს.

ჩვენთვის განმსაზღვრელ ძველევროპულ ტრადიციაში წარმოიშვა იდეა, რომ საზოგადოების სისტემის კონსტიტუირება სპეციფიკური *პოლიტიკური აქტია* და იგი მხოლოდ ქცევის *ნორმატიული* რეგულირების მეშვეობით ხორციელდება. შესაბამისად, საზოგადოების სისტემის საზღვრები ტერიტორიულ საზღვრებად იაზრებიან

– გვიანდელ შუა საუკუნეებამდე, ძირითადად, სასაზღვრო ტერიტორიათა, მოუშენებად ზონათა, მაშასადამე, ისეთ ნიშანთა სახით, ეფექტურად რომ მიჯნაენ; მოგვიანებით კი, იმ ცალსახა ზოლთა სახით, ბატონობის გაელვნის სფეროთა დიფერენცირებას რომ ახდენენ და, ერთგვარად, მათი გადალახვისკენაც რომ მოგვიწოდებენ.

მაგრამ, ეს იდეები, დღეს, გადამწყვეტ, ისტორიული თვალსაზრისით განუმეორებელ ცვლილებათა ფონზე, მოძველებული ჩანან. მე-18 და მე-19 საუკუნეებიდან მოყოლებული – იმ მიზეზთა გამო, რომელთა აღექვატურად განხილვის საშუალებაც აქ არა მაქვს – ნაბიჯ-ნაბიჯ დამკვიდრდა მსოფლიო მასშტაბის კომუნიკაციის შესაძლებლობანი. პოლიტიკურ ზეგაელვნათა და პერსპექტივათა ქსელმა მთელი დედამიწა მოიცვა. კვიპროსი აინტერესებთ ამერიკელებს – და ღმერთმა ნუ ქნას, რომ მას, თუნდაც ორიოდე კვირით, თვალი მოაშორონ! ნავთობის ფასის ზრდა, ინდუსტრიულ ერთა წინააღმდეგ მიმართული, განვითარებად ქვეყნებს აზარალებს. მოსახლეობის სწრაფი ზრდა წარმოშობს პრობლემებს, რომელთა ლოკალიზებაც – მიუხედავად განსხვავებულ რეგიონებში მათ მიერ გამოწვეული შედეგების სახესხვაობისა – შეუძლებელია. ნებსით თუ უნებლიეთ, ინფლაციათა იმპორტსა და ექსპორტს ვეწევით. უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში ზოგიერთი მეცნიერების, კერძოდ კი, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის, დაშლისა და ხელახალი კომბინირების შესაძლებლობანი უაღრესად გაიზარდა. მათთან დაკავშირებული ტექნიკური

რეალიზაციები უნიკერსალურად ხელმისაწვდომნი გახდნენ. ურთიერთობა და კომუნიკაცია მრავალი თვალსაზრისით გამარტივდა, რამაც ყველა ადამიანის განცდისა და ქმედების დროში სინქრონიზაცია მოახდინა. ეს კი ნიშნავს: ყველა ხდომილების თანადროულობა და ერთმანეთთან შეთანადების მოთხოვნილება, საერთო მომავალთან ერთად ჰეტეროგენულ წარსულთა ფონზე, მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაცნობიერდა – და თანაც, მოთხოვნის სახით.

თუკი რეალობას რაღაც ანგარიშს გაუწევთ, ასეთი განვითარებანი გვაიძულებენ, საზოგადოების ცნების საკითხი ახლებურად დავსვათ. რეგიონალურ საზოგადოებათა საწყის წერტილად აღება და ყველა ამ მსოფლიო მასშტაბის ურთიერთდამოკიდებულებათა გარეგან ურთიერთობათა სახით განხილვა სულ უფრო და უფრო საეჭვო ხდება. ფაქტია: მსოფლიო საზოგადოება, დიდი ხანია, ჩამოყალიბდა ერთიან სისტემად. მხოლოდ აზროვნებისა და აღქმის ტრადიციული სტრუქტურები გვიშლიან ხელს, დავინახოთ და ვაღიაროთ ეს რეალური ვითარება. მეცნიერების თეორეტიკოს ფრანგ გასტონ ბაშლიარს თუ დავესესხებით, საქმე გვაქვს *„obstacles épistémologiques"*[1]-თან, მაშასადამე, იმგვარ სოციალურ ცნებათა ზემოქმედების გახანგრძლივებასთან, რომელთა მეშვეობითაც საზოგადოების ერთიანობა მისი ერთ-ერთი ნაწილობრივი ფუნქციის პერსპექტივიდან განისაზღვრებოდა – ან პოლიტიკური

[1] ეპისტემოლოგიური დაბრკოლებები (ფრანგ.) – მთარგმნ. შენ.

სფეროს პერსპექტივიდან, *„societas civilis“*-ის ძველევროპული ტრადიციის მიხედვით, ან, ბურჟუაზიულ-მარქსისტული ტრადიციის მიხედვით, ეკონომიკური სფეროს პერსპექტივიდან.

ხოლო თუკი, ამის საპირისპიროდ, იმ ფაქტიდან ამოვალთ, რომ ამასობაში ერთიანი, მთელი მსოფლიოს მომცველი საზოგადოებრივი სისტემა შეიქმნა, რომელსაც მსოფლიო სახელმწიფო არ ესაჭიროება, მაშინ, ბუნებრივია, ისიც უნდა გაეაცნობიეროთ, რომ დედამიწის ყველა რეგიონი მსოფლიო საზოგადოების ამ ფაქტში თანაბრად არ მონაწილეობს. პოლიტიკური ძალაუფლების, კაპიტალთა მასების, ეკონომიკურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურების, განათლებისა და ცოდნის უზარმაზარ სხეულობათა არდანახვა შეუძლებელიც არის და დაუშვებელიც. თუმცა ასეთი რამ ძველ რეგიონალურ საზოგადოებებშიც არსებობდა, მაგალითად, ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის თვალსაზრისით. ის, რომ – და თუ რა სახით – იქცნენ ეს უთანასწორობანი პრობლემად და განვითარებადი ქვეყნების ცნებით თემატიზირებულნი – კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, რომ პრობლემის ჩვენეული ცნობიერება მსოფლიო საზოგადოების ფაქტს უკვე ითვალისწინებს.

II

კონცეპტუალური თვალსაზრისით ესოდენ განსხვავებულ კულტურულ ტრადიციათა შეერწყმის ასეთ პროცესს მხოლოდ საზოგადოების ცნების აბსტრაქციის მეშვეობით თუ შეიძლება ავუღოთ

ალღო. საზოგადოების ცნება ყველა სპეციფიკური ფუნქციისაგან აბსტრაქციის შედეგად მის უკანასკნელ მომენტზე უნდა დაეფუძნოთ. რომლის გარეშეც მისი მოაზრება შეუძლებელია, კერძოდ კი, კომუნიკაციაზე და შემდეგ, ამ ამოსავალი წერტილიდან, იგი ხელახლა განვაეითაროთ. ასეთ შემთხვევაში საზოგადოება, როგორც თავშივე ვახსენე, ყველა კომუნიკაციურად ხელმწისაწვდომი განცდის და ქმედების სოციალურ სისტემად უნდა განისაზღვროს; მაშასადამე, სისტემად, რომელიც ყველა კომუნიცირებული განცდებისა და ქმედებებისაგან შედგება.

კომუნიკაციაზე დაფუძნებული საზოგადოების ეს ცნება, უპირველეს ყოვლისა, შემდეგი დაკვირვების სტიმულს იძლევა: საზოგადოებრივი ევოლუციის ძირითადი ფაზები – არქაული საზოგადოება, მაღალი კულტურები, მსოფლიო საზოგადოება – კომუნიკაციის დომინანტურ სახეთა ცვლილებებით ხასიათდებიან. „ხასიათდებიანო" ვამბობ, რადგან დისკუსიაში რთულ ისტორიულ მიზეზობრიობათა შესახებ აქ ვერ ჩავერთვები. საზოგადოების სახეთა და კომუნიკაციის სახეთა ცვლილებებს შორის კავშირი კი აშკარაა და შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ უფრო რთულ საზოგადოებრივ სისტემათა ინტეგრირება და შენარჩუნება, რა სახითაც არ უნდა განხორციელებულიყო მათი განვითარება, კომუნიკაციის ახლებურ ფორმათა გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

მაღალგანვითარებულ პრიმატთა ჯგუფური ცხოვრებიდან ადამიანურ საზოგადოებაზე გადასვლა, კერძოდ, თავდაპირველად, არქაულ

საზოგადოებაზე, ენის ევოლუციის მეშვეობით განხორციელდა, მაშასადამე, კომუნიკაციის უფრო ეფექტურ ფორმათა განვითარებით. ამან მონაწილეთ მისცა საშუალება, თავიანთ პარტნიორთა ქცევა ამ ქცევით გადმოცემულ ინფორმაციათაგან *განესხვავებინათ* და სწორედ ამით ეს ორი რამ ერთმანეთთან *მიმართებაში მოეყვანათ*, სახელდობრ, ქცევა ინფორმაციის ნიშნად აღექვათ.

ეს კი, უპირველეს ყოვლისა, წინაპირობად ინტერაქციას გულისხმობს, მაშასადამე, კომუნიკაციის პროცესში მონაწილეთა თანდასწრებას. ამიტომაც, ნებისმიერი არქაული საზოგადოება სისტემათა ინტერაქციულ ნამოყალიბებაზე არის დამოკიდებული, რაც მათ შესაძლო ზომას ზღუდავს და სხვა მხრივაც მნიშვნელოვან სტრუქტურულ შედეგებს იძლევა. *მაღალ კულტურაზე გადასვლის* შესაძლებლობას პირველად წერილობითი კომუნიკაციის განვითარება წარმოშობს. დამწერლობას ის გადამწყვეტი ტექნიკური უპირატესობა აქვს, რომ იგი კომუნიკაციის პროცესს თანდასწრების პირობისაგან ათავისუფლებს. ამიტომაც დამწერლობას შეუძლია გაცილებით უფრო დიდი სივრცითი და დროითი მანძილები მოიცვას; მას შეუძლია უცნობ და უცნობად დარჩენილ პარტნიორებს მიაღწიოს და ვეერდს უვლის ინტერაქციულ ორმხრივობათა და კონტროლთა მჭიდრო ქსელს. ამით საზოგადოების სოციალურ სისტემაში კონტროლის დეფიციტები ჩნდება, რომლებიც თანდათან ახლად განვითარებული კომუნიკაციის კოდებითა და სისწორის კრიტერიუმებით ივსება: მაგალითად, ლოგიკისა და მეცნ-

ნიერულობის კრიტერიუმებით, რელიგიისა და საერთლის ნნეობრივი თვალსაზრისით განზოგადებული პრინციპებით, ეკონომიკური გამოთვლის აბსტრაქტული პროცედურებითა და სხვ. კომუნიკაციის სახეთა საფუძველზე კულტურა აბსტრაქციის ზეწოლას განიცდის. მის შედეგებს კი ჩვენს ბიბლიოთეკებსა და არქივებში შეიძლება გავეცნოთ.

მსოფლიო საზოგადოებისკენ გადადგმული ნაბიჯს კომუნიკაციის სფეროს მორიგი, მნიშვნელოვანი ცვლილებანი უკავშირდება. ისინი გავრცელების ტექნიკებსა და, ამდენად, დიდი მასშტაბის კომუნიკაციურ ქსელებს ეხება. დამწერლობა, თავისთავად აღებული, ენის კოდის უბრალო დუპლიკატია, ენის მეორადი კოდირებაა ოპტიკის მედიუმში. დამწერლობით სასაუბრო სიტუაციის გარკვეულ ანონიმიზაციას ვაღწევთ. იგი ტექსტთა კეთილსინდისიერად ან მცდარად გადაწერის საშუალებასაც იძლევა: „გადათქმა“ არ არსებობს, არამედ მხოლოდ „გადაწერა“. ასეთი რეპროდუქცია, პირდაპირი აზრით, ინდივიდუალური შემოქმედება იყო; იგი დამოკიდებული იყო ხანგრძლივ და შრომატევად ქმედით რეალიზაციაზე. ახალი დროის ბეჭდვის და მაუწყებლობის ტექნიკით ეს შესაძლებელი გაუქმდა. ეს იძლევა საშუალებას, რეპროდუქცია ქმედებისგან დამოუკიდებლად განხორციელდეს და, ამდენად, კომუნიკაციის აქტის ერთეულსე ნებისმიერი რაოდენობის მიმღების არსებობის შესაძლებლობას წარმოშობს.

შეგვიძლია დავამატოთ, რომ ამ ეგრეთწოდებული მასობრივი მედიის რეპროდუქციის ტექნიკამ კომუნიკაციის ყველაზე გეთან გან-

ვითარებული სახით, დამწერლობით, დაიწყო, თუმცკი, ამის შემდეგ, ევოლუციის ჯაჭვი ერთგვარად უკან დატრიალდა და სატელევიზიო და რადიომაუწყებლობის დახმარებით ხელპირი სიტყვის, შემდეგ კი, თვით არაენობრივი კომუნიკაციის, მთლიანი გამოსახულების შემოერთება მოხდა. რეპროდუქცია არღვევს თავად ენის საზღვრებს და, შესაძლებლობისადგვარად, ხდომილების უნატიფეს ნაკვთებსაც კი აშუქებს. კი მაგრამ, რას ნიშნავს ყოველივე ეს? რას ნიშნავს ყოველივე ეს – ვიკითხოთ დაზუსტებით – თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურისათვის?

III

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საზოგადოების ტიპთა და კომუნიკაციის სახეთა ფაზების მიმდევრობა უბრალოდ ერთის მიერ მეორის განდევნა და ჩანაცვლება არ არის. აქ უფრო საქმე გვაქვს მეტი წანამძღვრის მქონე ფორმაციათა დამატებასთან, რომლებიც შემდგომ შესაძლებლის პირობებს ახლებურად განსაზღვრავენ და, შესაბამისად, ახალ ფუნქციას ანიჭებენ იმას, რაც ძველ სტრუქტურულ მარაგში უკვე მოცემული იყო.

ენის ევოლუციას განსრახული და განუზრახველი არაენობრივი კომუნიკაციის შესაძლებლობა – მაგალითად, მიმიკით, ჩაცმულობით, ან, უბრალოდ, სიტუაციებში თანდასწრებით – არ გაუუქმებია, მაგრამ მას უეჭველად უცვალა ფორმა. ვინც მიმიკით ახორციელებს კომუნიკაციას, ის განსრახ არ იყენებს ენას და ეს, თავის

მხრივ, იცის კომუნიკაციის მიმღებმაც. არაერთობრივი, ირიბი კომუნიკაცია შესაძლებლობის სახით ენასთან ერთადაა შენარჩუნებული; იგი ერთდროულად კარგავს და მოიპოვებს კიდეც ფუნქციებს ამ სპეციფიკაციის პროცესში.

იგივე მიმართებაა *ენასა* და *დამწერლობას* შორის. ამჯერად ეს ისტორიულ პროცესში ცნობიერად დაფიქსირდა კიდეც. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ სოკრატესა თუ პლატონის ეჭვის საფუძველი უკვე აუცილებელი, გარდაუვალი სახით შემოღებული დამწერლობის მიმართ. რაოდენ თავქარიანობას მიეცა გასაქანი ახლა, როცა უკვე ზეპირი დიალოგის პარტნიორი თანამოსაუბრეს კონტროლს აღარ უწევდა. მაშასადამე, დიალოგის ფორმა წერილობით კომუნიკაციაში მაინც უნდა შენარჩუნებულიყო! რაღა ეშველებოდა მეხსიერების ოდესღაც ასე განდიდებულ ზეციურ სათნოებას – *mnemosyne, memoria*-ს –, თუკი ყველაფერი მნიშვნელოვანი არქივებში უნდა შენახულიყო და მშვიდად მისცემოდა დავიწყებას?

შესაძლოა, იმ განუწყვეტელ ეჭვსაც, დღეს ეგრეთწოდებულ მასობრივ მედიას რომ უპირისპირებენ, იგივე საფუძველი ჰქონდეს. უკვე რომანტიკის ეპისტოლარული კულტურა ფარულ პროტესტს წარმოადგენდა. და განა ხელოვნებაც იმგვარად არ რეაგირებს ფოტოგრაფიაზე, მის განვითარებას მაინცდამაინც მშვენიერებისაკენ რომ არ წარმართავს?

ასეთი კითხვები შეგვიძლია დავაფიქსიროთ, მაგრამ მათი სახით უკვე სამეცნიერო პრობლემის დამაკმაყოფილებელი სახით დაყენებასთან საქმე არა გვაქვს. ასეთი სოციოლო-

გიური ანალიზი ვერც კულტურის კრიტიკულ პესიმიზმზე და ვერც პროგრესის ურყევ რწმენაზე ვერ შეჩერდება. მას საკუთარ იარაღთა უფრო დიფერენცირებული და მკვეთრი სახით მოღერება მოუწევს. ამისათვის სოციოლოგიურმა ანალიზმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გააცნობიეროს, რომ დამთხვევების და ფუნქციათა ახლებური დაბალანსების ასეთი პროცესები იმგვარი სისტემის ფარგლებში ხორციელდება, რომელიც შესულდულ შესაძლებლობათა კანონს ექვემდებარება. არ არის საჭირო, ამ დროს ანალიზი აბსოლუტური ან აპოდიქტიკური სახით შემოტანილ აუცილებლობებს ეარაკულობდეს, მაგრამ მას შეუძლია განჭვრიტოს, რომ გარკვეული სტრუქტურული გადაწყვეტილებანი, სახელდობრ, ისეთნი, რომლებიც მთლიანი სისტემის კომპლექსურობას ეხებიან, შემდგომ სტრუქტურულ გადაწყვეტილებათა შესაძლებლობას ზღუდავენ.

IV

(აქედან გამომდინარე, შეიძლება უტყუარად ჩავთვალოთ ის, რომ მსოფლიო საზოგადოების სოციალური სისტემა მისი კომუნიკაციური ინტეგრაციისათვის მასობრივ მედიას წაიმძღვარებს – ისევე, როგორც მაღალ კულტურათათვის აუცილებელი წინაპირობა დამწერლობა იყო. ცხადია, საზოგადოების სტრუქტურები და კომუნიკაციის სახეები თანდათან და პატარ-პატარა ნაბიჯებით ვითარდებოდნენ, მაგრამ სწორედ ამის მეშვეობით შეძლეს მათ სტრუქტურულად მორგებულიყვნენ ერთმანეთს, რის შედეგადაც

მათი დღევანდელი ურთიერთდამოკიდებულება ურყევი ფაქტია. მასობრივი მედიის გარეშე მსოფლიო საზოგადოება შეუძლებელი იქნებოდა. ტექსტთა უბრალო გადაწერით, ასრის რეპროდუქცია საჭირო კომუნიკაციურ კავშირთა დამყარების შესაძლებლობას მას ვერ მისცემდა.

ეს არა მარტო შრომატევადობის და ღირებულების ეკონომიკური თვალსაზრისით წამოყენებული საკითხია, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სიჩქარის საკითხიც. თანამედროვე საზოგადოება ძალიან თავისებურ, ისტორიულად განუმეორებელ ტემპორალურ სტრუქტურებსია ორიენტირებული. მომავალი მას წარმოუდგება სხვა შესაძლებლობათა მიმართ ღია, წარსულისაგან პრინციპულად განსხვავებულის სახით. აწმყო ამით წარსულსა და მომავალს შორის გადართვის წერტილად გვევლინება, ანუ წამიერ აქტუალობად, რომელშიც, და მხოლოდ რომელშიც, შეიძლება მოხდეს რაღაც. ვინც ახლავე არ მოქმედებს, რაღაცას აცდენს. ვინც პოლიტიკურ რეფორმებს უშუალოდ არჩევნების შემდეგ არ იწყებს, ხელიდან უშვებს თავის შანსს; ვინც საბაზრო ხარეებზებს დროულად არ აღმოაჩენს, უიმედოდ სამორჩება კონკურენციას; ვინც 23 წლის ასაკში ჯერ კიდევ დაუქორწინებელია, საგონებელში ვარდება. მეცნიერი, რომელიც მოკლებულია იმ ალღოს, რომ პრობლემის დაყენებაში სხვას გადაუსწროს, მუდამ მეორე რანგში დარჩება და სხვისი ნაფიქრისა და ნაწერის პოსტ-ფაქტუმ გაანალიზება მოუწევს.

მსოფლიო საზოგადოების სინქრონიზაცია

აწმყოში ხდება. ეს კი მხოლოდ მასობრივი მედიის მეშვეობითაა შესაძლებელი, რაც კოორდინაციის დროს თითქმის წამამდე ამცირებს. დემოკრატია, მაგალითად, ემყარება იმ წანამძღვარს, რომ პოლიტიკურ მოვლენებს ყველა ერთდროულად უნდა იცნობდეს (თუკი მათ საბოლოოდ არ ინახავენ), რის შედეგადაც, პოლიტიკოსს უწევს ივარაუდოს, რომ სხვებმა მის თანადროულად იციან, ფუ რაზე რეაგირებს იგი და შეუძლიათ მისი გაგება, მიუხედავად იმისა, გაამართლებენ თუ გაამტყუნებენ მას. ამაში, რა თქმა უნდა, ბევრი რამ ფიქტიურიცაა, მაგრამ უკვე ეს ვარაუდი შეუძლებელი იქნებოდა ვარაუდის სახით, რომ არ არსებობდეს მაუწყებლობა და პრესა. ინფორმაციის გადაცემის უბრალო ფაქტი იმის საშუალებას იძლევა და, მრავალ კონტექსტში, იძულებით იწვევს კიდეც, რომ მისი ცნობილობა მომდევნო მომენტში ივარაუდებოდეს – თანაც, კომუნიკაციის ფაქტობრივი ზემოქმედების ხარისხის შემოწმების გარეშე. მაშასადამე, ინფორმაციის გავრცელების ყოველგვარი ეფექტური ქმედითუნარიანობისაგან შედარებით დამოუკიდებლად, უნივერსალური ინფორმირებულობის ვარაუდს უკვე აქვს ზემოქმედება, რამდენადაც იგი ერთგვარი ოპერატიული ფიქციის სახით პოლიტიკურ პროცესს განსაზღვრავს.

ვინც საკითხის ამგვარი დასმის პერსპექტივიდან, მაგალითად, უოტერგეიტის სკანდალს შეისწავლის, უმალ გააცნობიერებს დროის ფაქტორის ამ მნიშვნელობას. ამ სკანდალის დროს აშკარად გამოჩნდა: არცოდნის საჯარო ცოდნა პოლიტიკურად სტაბილურ პოზიციას არ წარ-

მოადგენს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ყველამ იცის, რომ თითქმის არავინ არაფერი არ იცის. ასეთი კონსტელაციის შემთხვევაში ეს თემა, მოითხოვს რა განსხვავებულ მომაეალს, პოლიტიკური თვალსაზრისით რელევანტურ აწმყოდ რჩება და მას ნებისმიერი ინფორმაცია უმალ არა მარტო ახალ ცოდნაში, არამედ, ახალი ცოდნის ვარაუდის პოლიტიკურ რელევანტურობაში გადაჰყავს.[1]

ცხადია, ფუჭია იმაზე კამათი, თუ რა არის უფრო მნიშვნელოვანი: ტემპორალური, თუ კონსენსუსის სტრუქტურები. რელევანტურობის საერთო საზომი ჩვენ ისედაც არ გაგვაჩნია. თუმცა ვიცით, რომ უკვე დამწერლობამ და ლიტერატურულ ტრადიციათა განვითარებამ თავისი წვლილი შეიტანა იმაში, რომ მაღალ კულტურებში წარმოდგენის ფაქტობრივი გაერთიანების მოცულობა გადაჭარბებულად შეეფასებინათ. მასობრივი მედიები ამ პრობლემის ახარისხებას ახდენენ. შესაძლოა, ისინი მართლაც იწვევდნენ ფაქტობრივი განცდისა და ქმედების რეალურ ურთიერთდამსგავსებას, უფრო მაღალ კონსენსუსს, მიუხედავად 'უფრო მაღალი შერჩევითობისა; ფაქტია, რომ ისინი კონსენსუსისთვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭებასაც იწვევენ. ამასთან, არა მარტო კონსენსუსის ფაქტობრივი მოცულობა, არამედ უკვე კონსენსუსის ვარაუდი არის ის ფაქტორი, რომელიც დროის ზეწოლისა და მცდარი შეფასების რისკის პირობებში უშუალო ზემოქმედებას ახდენს.

V

ახლა კი, სანამ წანამძღვრებიდან და ფუნქციებიდან პრესისა და მაუწყებლობის მეშვეობით განხორციელებული კომუნიკაციის სტრუქტურული თვალსაზრისით რელევანტურ შედეგებზე გადავალ, აუცილებელია, რამდენიმე შენიშვნა გავაკეთო კომუნიკაციის ცნების შესახებაც.

პირველი: კომუნიკაციის პროცესი არ აერთიანებს ფაქტებს ან მონაცემებს მათი წმინდა ფაქტობრივობის თვალსაზრისით, არამედ იგი აერთიანებს სელექციებს – მაშასადამე, ხდომილებებს, რომლებიც შეიძლება ასე, ან სხვაგვარადაც მომხდარიყო და, ამდენად, ინფორმაციის ღირებულებას ფლობენ. მეორე: კომუნიკაცია ყოველთვის სამადგილიანი რელაციაა, რომლის სამიეე პოზიცია შემთხვევით სელექციას წარმოადგენს. ესაა: 1. საგნობრივი ვითარება, რომელიც ასეთი, ან, შესაძლოა, სხვაგვარიც ყოფილიყო; 2. კომუნიკატორი, რომელსაც ამ საგნობრივი ვითარების შესახებ შეეძლო ან ელაპარაკა, ან არა; 3. მიმღები, რომელსაც შეუძლია ან გაიგოს, ან ვერ გაიგოს შეტყობინება, მიიღოს, ან არ მიიღოს იგი. კომუნიკაცია არის პროცესი, რომელიც სელექციებზე სელექციურად რეაგირებს, მაშასადამე, შერჩევითობას აძლიერებს. ამგვარი პროცესი კონტინგენტურობას გულისხმობს – სხვა შესაძლებლობათა ჰორიზონტის გაგებით. საბოლოოდ, თუ იგი საკმაოდ ხანგრძლივად მოქმედებს, საზოგადოებრივი ევოლუციის პირობებში, იგი ჩვენს სრულიად კონტინგენტურ, თეოლოგიური თვალსაზრისით ესოდენ რთულ სამყაროს წარმოშობს.

მაშასადამე, ნებისმიერი კომუნიკაციური აქტი სელექციაა ჯაჭვს ქმნის და ამით ჭრის სელექციის პრობლემას. სოციოლოგიურ ანალიზს ის კი არ მოითხოვს, რომ ეს ხდება, არამედ ის, თუ როგორ ხდება ეს. სხეა სიტყვებით: ყოველდღიურ სინამდვილეში ჩვენ იმთავითვე სელექციის გადაწყვეტილ პრობლემებს ეხვედებით. არასოდეს არა გვაქვს საქმე მთლიან სამყაროსთან, არამედ, ახალ ამბებთან. თავად სამყარო ახალ ამბებში მხოლოდ შემთხვევითობის სახით აქტუალიზდება, კერძოდ კი, სამმაგი ნეგაციის სახით: იმ ცნობიერების სახით, რომ გადაცემული ხდომილებანი სულაც არ არის აუცილებელი, მომხდარიყვნენ; იმ ცნობიერების სახით, რომ სულაც არ არის აუცილებელი, ისინი გადაეცათ; და იმ ცნობიერების სახით, რომ სულაც არ არის აუცილებელი, მათთვის ყური დაგვეგდო, და ამას ხანდახან – მაგალითად, არდადეგების დროს – ასე ვაკეთებთ კიდეც.

კი მაგრამ, რას ეყრდნობა ამ მაუწყებლობისა და პრესის საშუალებით გადაცემული კომუნიკაციის პროცესის შერჩევითობა? და რა სტრუქტურები ექცევიან სამყაროს და აქტს შორის? რითი ხელმძღვანელობს შერჩევა?

უნდა გავიხსენოთ, რომ საზოგადოების სისტემის ყველა მნიშვნელოვან ფუნქციურ სფეროს ამგვარი გაშუალების სტრუქტურები აქვს. ეს უმალ გამოჩნდება, თუ შესადარებლად, მაგალითად, პოლიტიკურ სისტემას, ეკონომიკას, რელიგიას, სამართალს ან მეცნიერებას მოვუხმობთ. თითოეულმა ამ ფუნქციურ სფეროთაგან ხანგრძლივი საზოგადოებრივი ევოლუციის პროცესში საზოგადოებრივ ქვესისტემათა

მეტ-ნაკლებად ავტონომიური, საკუთარ კანონთა მიხედვით სელექტირებული დიფერენციერება განიცადა – ნაწილობრივ, ტერიტორიალურ საზღვართა გათვალისწინებით, ნაწილობრივ კი – ამის გარეშე. თითოეული ეს ფუნქციური სისტემა საკუთარ ავტონომიას და სისტემისათვის საკუთრივ აბსტრაქციის აქტებს ერთ განსაკუთრებულ, გაცნობიერებულ საზოგადოებრივ ფუნქციას აფუძნებს. პარსონსის სოციოლოგიაში ამ ვითარებას ფუნქციონალური პრიმატის ცნებით გამოხატავენ. ეს ნიშნავს: ქვესისტემის კერძო წელილი მთლიან სისტემაში, რაც ამ უკანასკნელის დონეზე მხოლოდ ერთ-ერთი მოთხოვნაა, სხვა მოთხოვნათა შორის, ქვესისტემის სელექციათათვის მართვის ფუნქციას იძენს, ხოლო სხვა მოთხოვნებთან შედარებით – უპირატესობას. მთლიანი საზოგადოების პერსპექტივიდან თუ განვიხილავთ, პოლიტიკა, ცხადია, არ არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ეკონომიკა, სამართალი არ არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მეცნიერება და არც მეცნიერება – უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე პოლიტიკა. აუცილებლად შესასრულებელ ფუნქციათა რანგობრივად მოწესრიგება შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია ამ ფუნქციათა ქვესისტემათათვის გადაბარება, სადაც ისინი სისტემის სპეციფიკურ უპირატესობას მოიპოვებენ: მაგალითად, სამართლის სისტემისათვის იურიდიული მოსაზრებანი უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე პოლიტიკური თვალსაზრისები თუ ეკონომიკური დასკვნები. ამას ემყარება მნიშვნელოვანი სტრუქტურული რედუქციები, რომლებიც ქვესისტემების ოპერაციებს მართავენ.

აქ დამატებით მოქმედებს კიდევ ერთი გარეგანი ფაქტორი. დღევანდელი საზოგადოების ნებისმიერ მნიშვნელოვან ფუნქციურ სისტემას სისტემის საკუთარი ბინარული კოდი აქვს. მაგალითად, ეკონომიკური სისტემა საკუთრებისა და ფულის კოდებით ოპერირებს, რომლებიც ქონა-არქონის განსხვავებას ეფუძნებიან; მეცნიერების სისტემა – ჭეშმარიტება-არაჭეშმარიტების დიფერენცირებით ხელმძღვანელობს, ბინარული ლოგიკის მოშველიებით; ხელოვნებამ უნდა შეძლოს მშვენიერისა და უშნოს გარჩევა, პოლიტიკამ – ძლიერისა და სუსტის განსხვავება. ასეთი კოდები შემდგომ მათთვის ატრიბუტების სახით მინიჭებული მეორადი სიმბოლოებით აღიჭურვებიან, სიტყვათა ელვებით, იდეოლოგიებით: თეორიებით მეცნიერების სფეროში, პროგრესული ან კონსერვატიული იდეოლოგიებით პოლიტიკაში, სტილისტური მიმართულებებით ხელოვნებაში, ინვესტიციათა კომპლექსებით, ანუ „წარმოებით“ ეკონომიკაში.

განსაკუთრებულ ფუნქციებსა და განსაკუთრებულ კოდებზე დამოკიდებული იქნება საგარაუდოდ საზოგადოებრივ ქვესისტემათა ორგანიზაციის უნარიც. მაგალითად, ფართომასშტაბიანი საეკლესიო ორგანიზაციის ჩამოყალიბება მხოლოდ მორწმუნეთა და ურწმუნოთა ცალსახა განსხვავების საფუძველზე გახდა შესაძლებელი, რაც, თავის მხრივ, რწმენის დოგმატიზაციას მოითხოვდა. ეკონომიკური ორგანიზაციები წარიმძღვარებენ კაპიტალის ინვესტიციებს საკუთრების და ფულის კოდების საფუძველზე. ფუნქციონალური სპეციფიკაციის და კომუნიკაციის

განსაკუთრებული კოდის გარდა, ამ ორი წინასწარი სტრუქტურის საფუძველზე ორგანიზაციის უნარი თანამედროვე საზოგადოების გაშუალების აუცილებელი მექანიზმია.

ეს ყველაფერი იმისთვის მომაქვს, რომ ძალიან მოკლედ ვაჩვენო, თუ როგორ არიან ნეგენს საზოგადოებაში ნეგულებრივ ორგანიზებული გაშუალების სტრუქტურები სამყაროს ჰორიზონტსა და სელექციურ ხდომილებას შორის. ამასთან კონტრასტში ცხადი გახდებოდა ისიც, თუ რა გვაკლია მოცემული ეგრეთწოდებული მასობრივი მედიის შემთხვევაში. აქ სელექციის შედარებით უშუალო ხეწოლა ხდება, მაშასადამე, მკაცრი, თითქმის დაუსაბუთებელი სელექცია შესაძლებლობათა შეუხლუდველი ველის მხრიდან. პრინციპულად ხომ ნებისმიერი თემა საკომუნიკაციოდ გამოსადეგია.

მიმღების მხრივ, მაღალი სელექციურობის იგივე პრობლემა *იძულებული ყურადღების* სახით გამოელინდება. თუ კომუნიკაციის მიმღებს პარლამენტის კომისიებში, სამეცნიერო კონგრესებში, ბირჟაზე ან ხელოვნების გამოფენებზე ჯერ როლთა კონტექსტის არჩევა და შემდეგ მასში ალტერნატივათა გაკონტროლება შეუძლია, მაუწყებლობის და პრესის კონტექსტის სახით არჩევა არ იძლევა იმის კონტროლის შესაძლებლობას, თუ რა შეიძლებოდა გადაცემულიყო ან დაბეჭდილიყო: ვინც გაზეთს, როგორც გაზეთს, თავიდან ბოლომდე კითხულობს, ან ჩართულს ტოვებს რადიოს, მოუწევს მიიღოს ის, რასაც გადასცემენ, მიუხედავად იმისა, რომ აცნობიერებს: ეს არის არჩეული მისთვის უცნობი სხვა შესაძლებლობებიდან.

მაშასადამე, რატომ ხდება ეს, მიუხედავად ამისა? და როგორ ხდება ეს, მიუხედავად ამისა? ხოლო, თუ კომუნიკაცია ამ მაღალი შერჩევითობის პირობებში წარმატებას აღწევს, რა შედეგები მოჰყვება ამას? ეს არის კითხვები, რომლებიც აუცილებლად უნდა დაუსვას საკუთარ თავს სოციოგენეზის თეორიით დაინტერესებულმა სოციოლოგმა.

VI

ფუნქციონალური ანალიზი არის უკვე გადაწყვეტილ პრობლემათა აღმოჩენის ტექნიკა. სამეცარო ვერ დაუცდის სოციოლოგს; თავისი პრობლემები მას ყოველთვის უკვე გადაწყვეტილი აქვს. საკითხავი შეიძლება იყოს მხოლოდ: როგორ? და ეს კითხვა სხვა, ფუნქციონალურად ეკვივალენტურ შესაძლებლობებთან მიმართებით შეიძლება დამუშავდეს. მაშასადამე, რა არის სხვა საზოგადოებრივ სფეროებში გაშუალების სტრუქტურათა ეკვივალენტები?

რედუქციის, ალბათ, უმნიშვნელოვანესი პრინციპი არის აქტუალობა. ამ თვალსაზრისის ზუსტი კონცეპტუალური აღწერა საკმაოდ რთულია. ყოველ შემთხვევაში, სიახლეს, როგორც ასეთს, უპირატესობა ენიჭება. რაც იბეჭდება ან გადაიცემა, აუცილებლად ახალი უნდა იყოს იმასთან შედარებით, რაც უკვე არსებობს, რომ ღირდეს კომუნიკაციად. აქტუალობა არის *conditio sine qua non*. მხოლოდ ის, რაც აქტუალურია, შეიძლება შემდგომ გახდეს რეფლექსიათა საგანი, გაშუქდეს მისი წარსული, აიწონ-დაიწონოს მისი მომავალი. სოლჟენიცინის გაქცევის

მომენტში პრესა მის ბიოგრაფიას, ჩამოსვლას, ტაქსით მგზავრობას, მიმიკას, თავშესაფრის ძებნას, ცნობისმოყვარე და დახმარების მოსურნე ხელთა შესახებ ინფორმაციას გვა

პრესის და მაუწყებლობის სელექციის წესი მთლიანი საზოგადოების სტრუქტურებზე ვრცელდება. ამავე დროს, იგი – რაც სწორედ ხსნის მათ წარმატებას – მასობრივი მედიის ტექნიკურ მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს: სიახლე სწრაფად და ყოველგვარი აწონ-დაწონვისა, თუ შეფასების პროცესის გარეშე შეიძლება მივიღოთ – რასაც, ცხადია, თან ახლავს ახლახანს აღმოჩენილი და მხოლოდ მივარცხნილ სიახლეთა სიმრავლის გამოჟონვა.

ახლა შეგვეძლო შემდეგი კითხვაც დაგვესვა: რომელ თემებს აქვთ ამგვარი სელექციის პირობებში ხანგრძლივობის შანსი? განა სელექციის ეს მოდუსი თავადაც სელექციურად არ მოქმედებს? ღმერთი სიახლე არ არის. როცა ეკლესიები ამტკიცებენ, ღმერთი აქტუალურიაო, ისინი არაბუნებრივად გარდასახავენ ცნებას, რათა სატრანსლაციო დრო მოიპოვონ. აი, ინფლაციას კი ყველა წინაპირობა აქვს იმისათვის, რომ ხანგრძლივ თემად იქცეს, რაც არ უნდა არახელსაყრელი იყოს ეს ჩვენი პოლიტიკოსებისათვის, ვინაიდან ფასების 'სრდის პროცენტი მუდმივად იცვლება და უაღრესად აქტუალურია ის, შეადგენს თუ არა იგი ახლა უკვე 6,5-ს, თუ მხოლოდ 5.6 პროცენტს. მეტიც, როგორც ჩანს, არსებობს ისეთი თემებიც, რომლებიც მხოლოდ მათი ხანგრძლივი აქტუალობის გამო იწარმოებიან და სხვა მხრივ არაეითარი ფუნქცია არ გააჩნიათ, მაგალითად, პროფესიონალური სპორტი.

სელექციის ამ ერთ კრიტერიუმზე დიდი ხნით ვერ შევჩერდებით, რადგან მას სხვებიც ემატება. სოციალური თვალსაზრისით მოქ-

მედებს მიმღებთა ინტერესი, მოლოდინი, განცდის უნარი, ერთი სიტყვით: თავს მოხვევადი და მიღწევადი *ყურადღება*, როგორც სელექციის თვალსაზრისი. ეს პრინციპიც მთლიანი საზოგადოების სტრუქტურებზე ვრცელდება, რომლებიც იმაზე არიან მიმართული, რომ პოლიტიკას ამომრჩევლებზე, წარმოებას მომხმარებლებზე მისცენ ორიენტაცია.

კიდევ ორი მოდიფიკაცია უნდა დავამატოთ: აუცილებელი არ არის, ამ დროს უსათუოდ კონსენსუსის თვალსაზრისით მზადყოფნასთან გვქონდეს საქმე. ყურადღებაც საკმარისია, რათა რაღაც კომუნიკაციურად არსებული გახდეს, სალაპარაკო თემად იქცეს. და მეორე: საქმე გვაქვს არა მიმღებთა ნამდვილ განწყობასთან, არამედ, ინტერპრეტირებულ რეალობასთან; სელექციის პროცესში კი მხოლოდ ინტერპრეტაციას ამოწმებენ და ასწორებენ და არა რეალობას. ეს შეზღუდული და გამარტივებული სახით არის შესაძლებელი. თუმცა, მაშინაც კი, როცა დაწერილებით დაესაქმდებით მიმღებებით, იმ შემთხვევაშიც კი, როცა სოციალურ მეცნიერებათა მეთოდით მკითხველთა და მსმენელთა აზრის გამოკვლევას ჩავატარებთ, ინტერპრეტაციის მოთხოვნილება კი არ მოიკლებს, არამედ მოიმატებს.

სოციალური ანტიციპაციის მომენტი წამყვანი რომ ყოფილიყო, სავარაუდოდ, კონსერვატიულ უნიფორმიზმს მიეიღებდით, სავარაუდო მოთხოვნილებებსა და სავარაუდო მორალზე ორიენტირებულს. ამას, გარკვეულ დონემდე, აქტუალიზაციის ხელწოლა ეწინააღმდეგება. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ არსებობს *საგნო-*

ბრიეი დიფერენციაციის ძლიერი ტენდენციები. მათი ორგანიზება პროგრამათა, გადაცემათა და პუბლიკაციათა სერიების, გაზეთის გვერდების, რედაქტორის კომპეტენციების, გამომცემლობის აქცენტების დონეზე და სხვ. ხერხდება. ამ სახით შესაძლებელი ხდება მრავალფეროვნება თანადროულობის პირობებში. კომუნიკაციის რეპერტუარი გარკვეულ საკუთარ კომპლექსურობას აღწევს, რომლითაც იგი საზოგადოებრივ სექტორებში ინტეგრირდება. შემდეგ კი, აქ შესაძლებელია „სამეცნიერო პროგრამის", „სამშობლოს განყოფილების", საგარეო პოლიტიკის სპეციალური რედაქციის, რეგულარულად განმეორებული სპორტული გადაცემის არსებობა, რომელიც შეგვიძლია ჩაერთოთ, ან გამოერთოთ. ამ სახით საზოგადოებრივ თემათა და ინტერესთა ერთობლიობა სექტორებად დანაწილდება.

კი მაგრამ, ეს ხომ მხოლოდ ორგანიზაციათა ფარგლებში ხდება, როლთა და პროგრამათა დონეზე? შეიძლება მოველოდეთ იმას, რომ ორგანიზაციის დანაწილების აქტით მთლიანი საზოგადოების მცირე მასშტაბით რეპროდუქცია განხორციელდება? რომ მაკროკოსმოსი მიკროკოსმოსის სახით ისახება?

უეჭველია, რომ ეს ასე არ არის. უკვე აქტუალურის მიწოდებისა და ამით ყურადღების მოხვეჭის აუცილებლობა დამახინჯებას იწვევს. პროფესიონალური სპორტი, მაგალითად, ხანგრძლივი ვადით არის აქტუალური და იზიდავს ყურადღებას, მაგრამ მისი მნიშვნელობა საზოგადოების სტრუქტურათა თვალსაზრისით, როგორც ჩანს, ამით ამოიწურება კიდეც. მასობრივი

კომუნიკაციისათვის სელექცია სელექციის იმ წესების კომბინირებით მიმდინარეობს, რომლებიც ტიპიურნი არიან კონკრეტული სპეციფიკური ფუნქციისათვის, მაგრამ, სწორედ ამის გამო, მთლიანი საზოგადოების თვალსაზრისით წარმომადგენლობითნი ყერ იქნებიან. ამას ემატება ორგანიზაციული შრომის დანაწილებისა და მისი პროგრამატიკის თავისებურებანი, რომლებიც თემათა სფეროებად დანაწევრებას განსაზღვრავენ. ამგვარი აღმოჩენა ორგანიზაციის არც ერთ სპეციალისტს არ გააკვირვებს: ნებისმიერ ორგანიზაციას საკუთარ გარემოსთან დაპირისპირებული აგებულების სქემა აქვს; მხოლოდ ამ სახით შეუძლია მას სპეციფიკურ ფუნქციათა განხორციელება.

VII

ანალიზი შეგვეძლო კიდევ გაგვეგრძელებინა და სპეციფიკური საკითხებით დაგვეკონკრეტებინა. შეგვეძლო დაგვესვა კითხვა, თუ როგორი არის შესაძლებლობის და სინამდვილის ასეთი დიდი განსხვავებისა და სელექციის ამგვარი პრინციპების პირობებში გარემოს ზეგავლენის შანსი? თუ ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ ცოტა რამ ხდება – განა ეს სწორედ იმის ცდუნებას არ წარმოშობს, რომ ჩავერიოთ, ნებისმიერი კერძო ინტერესის ცდუნებას ავყვეთ, ცდუნებას, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკისათვის? შეგვეძლო, ასევე, გვეკითხა, თუ როგორი შეიძლება იყოს შესაძლებლობათა და სინამდვილეთა ასეთი დიდი განსხვავებულობისას ორგანიზაციის შიდა გარემო? თუ დავაკვირდებით,

მაგალითად, რადიომაუწყებლობის დაწესებულებებს – თუ ჩემი მცირეოდენი შთაბეჭდილებები არ მღალატობენ – უჩვეულოდ მღელვარე გარემოს ვიხილავთ: მეტისმეტად ბევრ ინტელექტს მეტისმეტად ვიწრო სივრცეში მკაცრ, დაუსაბუთებელ შეზღუდვათა პირობებში – ასეთია, როგორც ჩანს, საფასური.

ჩემი თემა კი სხვა სიბრტყეს ეხება, საზოგადოების თეორიის სფეროს. აქ დასასრულ მინდა ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ საკითხსე მაინც მიეუთითო: მასობრივი მედიის ამ კომპლექსის სტრუქტურულ ადგილსე საზოგადოებრივ ქვესისტემათა კონტექსტში და დანაკარგების ანგარიშსე.

მე ვცადე მეჩვენებინა, რომ მსოფლიო საზოგადოების კომუნიკაციური ინტეგრაცია მხოლოდ მასობრივი მედიების საშუალებით არის შესაძლებელი, რომლებმაც, ამასთან, მაღალხარისხოვანი, განუსაზღვრელი კონტინგენცი შედარებით პირდაპირ უნდა გარდაქმნან გადაცემებად. ამისათვის სელექციის შემდეგი პრინციპები გამოიყენება: აქტუალობა, ყურადღების მოხვეჭა და ორგანიზაციული დიფერენცირება როლების და პროგრამების დონეზე. ეს კი ბადებს კითხვას: განაღდებული აქვს თუ არა ამ კომპლექსს, უკვე საკუთარი სელექციის წესის ძალით, სტრუქტურულად მყარი ავტონომია, თუ იგი შეიძლება საზოგადოების რაიმე სხვა ქვესისტემას მივაკუთვნოთ და დავუქვემდებაროთ? აქვთ თუ არა მაუწყებლობასა და პრესას საკუთარი პირველადი ფუნქცია? არიან თუ არა ისინი პოლიტიკური სისტემის დამატება, ინდოქტრინაციისა და კონსენსუსის ჩამოყალიბების აპარატი? თუ კომერცი-

ულად მოქმედი საკარმოებია?

პასუხი კომპლექსური გამოვა: საკუთარი მომენტები საკუთარი პირველადი ფუნქციისათვის აშკარად მოცემულია და სწორედ ეს ხდის საქმეს პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით საინტერესოდ. საწყისი მომენტები მოცემულია მსოფლიო საზოგადოების კომუნიკაციის მოთხოვნილებებში, იმ სტრუქტურულ პირობებში, რომლებიც უნდა ვალიაროთ, თუკი არ გვსურს, გარემოსგან იზოლირებულნი დავრჩეთ. კომუნიკაციის ეს უნივერსალიზმი დოქტრინათა და დიქტატურათა დისციპლინირებას ახდენს; იგი ზომიერს ხდის მათ იდეოსინკრეზიას, როგორც სტრუქტურულ, ისე აქტუალობის შესახებ მიმდინარე განცხადებათა დონეზე. არავინ აპირებს გადაჭარბებით შეაფასოს მსოფლიო საჯარო აზრის მნიშვნელობა, როგორც პოლიტიკური ძალისა; მაგრამ, თვითწარდგენისა და შედეგთა გამოთვლის ფორუმის სახით, იგი უეჭველად მნიშვნელოვანია.

ასეთი შეფასება უფრო ძლიერდება, როდესაც ტემპორალურ სტრუქტურებსაც გავითვალისწინებთ. მსოფლიო საზოგადოება საჭიროებს და ფლობს კიდეც მასობრივი მედიის სახით მყისიერი ინტეგრაციის, ერთობლივი აქტუალობის შექმნის ინსტრუმენტს. იგი ზედმეტად კომპლექსურია იმისათვის, რომ დაგეგმვათა, შედეგთა სერიების, ხანგრძლივად განპირობებული ეფექტების მეშვეობით იქნეს კოორდინირებული. იგი ერთობლივი რეალობის ვარაუდით და თანდასწრების გრძნობის აგრეგატული სახით ინტეგრირდება. კულტურულ მწვერვალთა მოლოდინის პოზიციიდან ამ ფუნქციის საკ-

მარისად შეფასება შეუძლებელია, მით უმეტეს, ამ პრეტენზიის დონეზე მისი დარეგულირება. იგი არც იმისდა მიხედვით შესრულდება უკეთესად, თუ რამდენად ავამაღლებთ მის კულტურულ დონეს. მასობრივი კომუნიკაცია არ არის უკმარისი აღზრდის სუბსტიტუტი, ან განათლების სისტემის დანამატი. სექტორთა მიხედვით, იგი შეიძლება ცალკეული პროგრამებით ამ ფუნქციასაც ასრულებდეს. მისი პირველადი საზოგადოებრივი ფუნქცია არის ყველას საერთო რეალობაში მონაწილეობა, ანუ, უფრო ზუსტად, ასეთი ვარაუდის შექმნა, რომელიც შემდგომ ოპერატიული ფიქციის სახით მკვიდრდება და რეალობა ხდება.

და რის ფასად? ეს უნდა ვიკითხოთ დასასრულს. საფასური საზოგადოების ყველა დანარჩენი ქვესისტემის ასანაზღაურებელი ხდება. ეკონომიკური თვალსაზრისით, ხშირად საქმე გვაქვს დოტაციებზე დამოკიდებულ საწარმოებთან; პოლიტიკური თვალსაზრისით, შესაძლებლობებით შემოფარგლასთან ან, უბრალოდ, აქტივობებთან, რომლებიც პოლიტიკოსს იმდენ დროს ართმევს, რომ ნამდვილი პოლიტიკისათვის დრო აღარ რჩება. კულტურისა და რელიგიის სფეროში განდეგილის კონკურენციას უწევიან. მეცნიერება ხვნეშის პუბლიკაციის ზეწოლისაგან, რომელიც უკვე ინდივიდუალური კარიერის და რეპუტაციის წინაპირობად იქცა. ეს ყველაფერი, უბრალოდ, ვახსენოთ მაინც. გაცილებით უფრო ძნელად გასაგებია ის უარეოფითი მომენტები, რომელთაც თავად ფუნქციის შესრულების სელექციურობა იწვევს და რომლებიც ისე სდევენ მათ თან, როგორც

ანრდილი შუქს. ამ უშუალო შედეგებს მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვთ, რამდენადაც ეს იმ ფუნქციურ სისტემაში არ ხდება, რომლის პრობლემატიზაციასაც ახდენენ და რომელსაც კომპენსაციის უსრუნველყოფა შეუძლია.

ეგულისხმობ კომუნიკაციას, რომელიც უცნობი რჩება, ყველაფერ იმას, რაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ შანსი არ ეძლევა.

რამდენი ფარული ინტელექტი არსებობს? რა ხდება სფეროებში, რომლებსაც კერძოებად განესაზღვრავთ და გეწამს, რომ შეგვიძლია მათი უგულებელყოფა? რა იწერება წერილებში, რაზე ლაპარაკობენ მეგობრები ერთმანეთთან? ცხადია, არსებობს კომუნიკაცია, ხელოვნება, რომელიც არ ერგება დიდ მისწრაფებებს, არამედ კერძო წრეებში განაგრძობს არსებობას და აქა-იქ ცნობილი ხდება ურთიერთობისთვის, ვინც მათ შესახებ შემთხვევით შეიტყობს. რა აზრები აღმოცენდებიან სწორედ ამ კონტრასტის გამო? და რა გამოჟონავს ნატიფ დეტალში, უცნაურობაში, გამბედაობას შემოძარცულ დუმილში?

ამას არ ვწერ იმ ფარული აზრით, თითქოს ეს ყველაფერი, წესით, ბაჭარზე უნდა მოხვედრილიყო. თავისთავად ცოდნა პრიორიტეტებიებს მოკლებული კომუნიკაციის შესახებ ზედმეტად ბუნდოვანი და გაურკვეველია საიმისოდ, რომ აზრიანი კრიტიკის საფუძველი მოგვცეს. ჩემი მიზანი, უპირველეს ყოვლისა, დასრულებულობა და იმის გაცნობიერებაა, რომ მასობრივი მედიის სპეციფიკური ფუნქციების შესრულება მხოლოდ სელექციურად არის შესაძლებელი; აგრეთვე, იმის გააზრება, რომ სხვა ფუნქცი-

ური სფეროები მაუწყებლობის და პრესის ამ სელექციურობას – და არა მხოლოდ ფაქტობრიობას – ანგარიშის გაწევას უწყებენ. და კიდევ, შესაძლოა, იმაზე მითითებაც, რომ თითოეული ჩვენგანის ხელთ არის პირადი ბიოგრაფია, რომელიც მან შეიძლება დროდადრო გამოიყენოს იმ ლანდშფტთა მისაღწევად, პროჟექტორთა შუქში რომ არ ექცეეიან.